ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

ქ. თბილისი **2018 წ.**

ერთი მხრივ, **ა(ა)იპ „ეროვნული სკრინინგ-ცენტრი“** (ს/კ 202442730), წარმოდგენილი - დირექტორის ეთერ კიღურაძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორე მხრივ .....(ს/კ.....)წარმოდგენილი-..... სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“) ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მოთხოვნათა შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომში -„შემსყიდველი“) - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვას.

1.2. „მიმწოდებელი“- პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოს ხელშეკრულების ფარგლებში.

1.3. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.4. „ხელშეკრულების ღირებულება“- საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.4 „დღე“, „კვირა“,,,თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ”შენობის დასრულების სამუშაოები “-ს (შემდგომში„სამუშაო“) სახელმწიფო შესყიდვა.

2.2 შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: 45400000

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ წარდგენილი დანართი N1-ს შესაბამისად და შეადგენს .....(.....) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც სამუშაოს ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს და გადასახდელებს.

4. სამუშაოს გაწევის ვადა და ადგილი

4.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს დასრულების ვადად უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან არაუგვიანეს ..... დღე.

4.2. სამუშაოს გაწევის ადგილი: თბილისი, გლდანი მე-4 მ/რ #113ა

4.3. სამუშაოს გაწევასთან დაკავშირებულ ხარჯებს ანაზღაურებს მიმწოდებელი.

„შემსყიდველი“
ა(ა)იპ „ეროვნული სკრინინგ-ცენტრი“

_____
ეთერ კიღურაძე
დირექტორი

„მიმწოდებელი“

_____
.....
.....

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 მიმწოდებლის მიერ აღებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

5.2 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს: ..... (შემდგომში „ინსპექტირების განმახორციელებელი პირი“).

5.3 ინსპექტირების განმახორციელებელი პირის ფუნქციებია:

5.3.1 გაუწიოს კონტროლი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს გაწევის ვადების დაცვას;

5.3.2 დაადგინოს გაწეული სამუშაოს ან/და მისი ნაწილის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;

5.3.3 საჭიროების შემთხვევაში გააფორმოს მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტი და უზრუნველყოს გაწეული სამუშაოს მიღება.

6. სამუშაოს საგარანტიო პირობები და ვადები

6.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული სამუშაო იქნება ხარისხიანი და შეესაბამება დანართი №2-ით გათვალისწინებულ ტექნიკურ - ხარისხობრივ მახასიათებლებს.

6.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს საგარანტიო პირობები დანართი N3-ის შესაბამისად.

6.3 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ წერილობითი მოთხოვნიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში განახორციელოს წუნდებული სამუშაოს გამოსწორება, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

6.4 მიმწოდებლის მიერ საგარანტიო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

6.5 შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს უარი განაცხადოს წუნდებული სამუშაოს მიღებაზე.

7. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება ჩაითვლება მიღებულად საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და ანგარიშფაქტურის წარდგენის საფუძველზე.

7.2. საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება სამუშაოს დასრულებისა და მიმწოდებლის მიერ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნის წარმოდგენის შემდგომ.

7.3. საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე, შესრულებული სამუშაოების მოცულობების დადგენის მიზნით, მიმწოდებლის მიერ შესაბამისი ინფორმაცია (შემსყიდველთან შეთანხმებით - ამ შემთხვევაში მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის ფორმდება სამუშაოების დასრულების წინასწარი აქტი) ეგზავნება - სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს.

7.4. ექსპერტიზის ხარჯები ანაზღაურდება მიმწოდებლის მიერ (ჩასატარებელი ექსპერტიზის ვადა არ არის კავშირში სამუშაოს შესრულების ვადებთან).

7.5. სამუშაო დასრულებულად ჩაითვლება მხარეებს შორის სამუშაოების დასრულების წინასწარი აქტის გაფორმების მომენტისათვის.

7.6. სამუშაოს მიღება და საბოლოო შემოწმება ხდება სამუშაოს შესრულების ადგილზე.

„შემსყიდველი“ ა(ა)იპ „ეროვნული სკრინინგ-ცენტრი“	„მიმწოდებელი“
_____	.....
ეთერ კიღურაძე დირექტორი	.....

7.7. შუალედური და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ფორმა №2 და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

7.8. მომსახურების (ან მისი ნაწილის) მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

8. ანგარიშსწორების პირობები და ვადები

8.1. ანგარიშსწორება მოხდება 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის თანხებით.

8.2. შუალედური ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში, შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

8.3. შუალედური ანგარიშსწორება განხორციელდება შესრულებული სამუშაოს პროპორციულად, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 30%-ის ოდენობით.

8.4. საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში, ექსპერტიზის დასკვნით დადგენილი, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობის შესაბამისად, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

8.5. შემსყიდველი უფლებამოსილია, ხოლო მიმწოდებელი თანახმაა ხელშეკრულების 12.3, 12.4 და 12.5 პუნქტით დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოქვითოს მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისი, მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან.

8.6. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის და გადასახდელის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

9.1 შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით.

9.2. შემსყიდველი უფლებამოსილია:

9.2.1 განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

9.2.2 ხელშეკრულების 4.1 პუნქტით განსაზღვრული სამუშაოს გაწევის ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებლისაგან მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობის შესაბამისად;

9.3 შემსყიდველი ვალდებულია:

9.3.1 მიიღოს გაწეული სამუშაო;

9.3.2 მოახდინოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად;

9.3.3 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

9.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

9.4.1 მოითხოვოს შემსყიდველისგან გაწეული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

9.5 მიმწოდებელი ვალდებულია:

9.5.1 მიაწოდოს შემსყიდველს ხარისხიანი სამუშაო;

9.5.2 სამუშაოს გაწევა განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტში მოცემული პირობების შესაბამისად;

„შემსყიდველი“ ა(ა)იპ „ეროვნული სკრინინგ-ცენტრი“	„მიმწოდებელი“
_____	.....
ეთერ კიღურაძე დირექტორი	.....

9.5.3 განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე. აგრეთვე, დაუყოვნებლივ განახორციელოს ქმედებები აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორებისათვის;
9.5.4 შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს მისი ორგანიზაციის მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან/და ლიკვიდაციის შესახებ;
9.5.5 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

10 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.2 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს უფლება არ აქვს ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
10.3 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
10.4 დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევისა.
10.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
10.6 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

11 ხელშეკრულების შეწყვეტა

11.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
11.2.1 მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;
11.2.2 ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;
11.2.3 საქართველოს კანონმდებლობით ან/და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
11.3 შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება (მთლიანად ან ნაწილობრივ), თუ:
11.3.1 მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;
11.3.2 მიმწოდებელი სისტემატიურად ან/და უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;
11.3.3 მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან გაგრძელებულ ვადებში ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას;
11.3.4 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
11.3.5 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12 მხარეთა პასუხისმგებლობა

12.2 მხარეები იღებენ ვალდებულებას, აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.
12.3 მიმწოდებელი პასუხისმგებელია მომსახურების გაწევის ვადების დარღვევისათვის. ასეთი დარღვევის არსებობის შემთხვევაში იგი ვალდებულია, პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველს გადაუხადოს ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0.02% ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

„შემსყიდველი“
ა(ა)იპ „ეროვნული სკრინინგ-ცენტრი“

_____
ეთერ კიღურაძე
დირექტორი

„მიმწოდებელი“

_____
.....
.....

12.4 მიმწოდებელი პასუხისმგებელია წინამდებარე ხელშეკრულების 6.2 და 6.3 პუნქტებით განსაზღვრული პირობების დარღვევისთვის, ასეთი დარღვევის არსებობის შემთხვევაში იგი ვალდებულია, პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველს გადაუხადოს ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0.02% ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

12.5 მიმწოდებელი პასუხისმგებელია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

12.6 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

13 ფორს-მაჟორი

13.2 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით ან/და მხარეები ხელშეკრულების შესრულების პროცესში წააწყდებიან ისეთ ხელშემშლელ გარემოებებს, რომელიც გამოწვეულია მათგან დამოუკიდებელი სხვა ობიექტური მიზეზებით. ასეთი ვითარების არსებობის შემთხვევაში ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

13.3 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ფორს-მაჟორს მიეკუთვნება ბუნებრივი ხდომილებანი ან პოლიტიკური, სამხედრო, სამართლებრივი, შრომითი, სოციალური, საგანგებო და შეუქცევადი გარემოებები (დაუძლეველი ძალა), როგორიცაა ომი, სტიქიური მოვლენები, ეპიდემია და ა.შ.

13.4 მხარე, რომელიც ხელშეკრულების 13.1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ვალდებულებების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ,ხოლო შეტყობინებიდან გონივრულ ვადაში წარმოადგინოს ფორს-მაჟორული გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტი შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს.

13.5 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13.6 ხელშეკრულების 13.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება.

„შემსყიდველი“
ა(ა)იპ „ეროვნული სკრინინგ-ცენტრი“

_____

ეთერ კიღურაძე
დირექტორი

„მიმწოდებელი“

_____

.....

.....

14 დავების გადაწყვეტა

14.1 მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

15 ხელშეკრულების სხვა პირობები

15.2 ხელშეკრულების არც-ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

15.3 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

16 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ..... ჩათვლით.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ა(ა)იპ „ეროვნული სკრინინგ-ცენტრი“ საიდენტიფიკაციო ნომერი: 202442730 იურიდ. მის: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. № 69 სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში ა/ა 743147499; ბანკის კოდი: TRESGE22	..... საიდენტიფიკაციო ნომერი: ..... იურიდ.მის..... ბანკი: ა/ა ….....

„შემსყიდველი“ ა(ა)იპ „ეროვნული სკრინინგ-ცენტრი“	„მიმწოდებელი“
_____ ეთერ კიღურაძე დირექტორი	....